

ICOMOS საქართველოს კომენტარები „გელათის მონასტერის“ კონსერვაციულ მდგომარეობაზე

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი - გელათის მონასტერი

ID – 704

შეტანის თარიღი - 1994

საზღვრის მნიშვნელოვანი ცვლილება - 2017

კრიტერიუმი -(iv)

ძირითადი ინფორმაცია

2020 წლის მარტში პროფესიული წრეებისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ანგარიშიდან (11.03.2020) ცნობილი გახდა, რომ 2020 წლის თებერვალში სააგენტომ შეიტყო, რომ გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ახლად რეაბილიტირებული¹ სახურავი ყინვის შედეგად დაზიანდა, რის შედეგადაც დასავლეთ მკლავში წყალი ჩადიოდა და ზიანდებოდა კედლის მხატვრობა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ICOMOS საქართველო დაესწრო გელათის საკითხებთან დაკავშირებულ გაფართოებული საბჭოს სხდომებს (3.08.2020; 27.08.2020); მოითხოვა სპეციალური შეხვედრა ეროვნული სააგენტოს UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან; გელათის საკითხებზე ინფორმაციის და პოზიციების გაცვლა მიმდინარეობდა საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის საბჭოს ფარგლებში; ICOMOS საქართველოს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეროვნული სააგენტოს მონუმენტური სახვითი ხელოვნების სექციის ექსპერტებთან; ამ პერიოდში და ფორმატში ICOMOS საქართველოს ჰქონდა საშუალება მიეღო ინფორმაცია და გამოეხატა პოზიცია ოფიციალურ სტრუქტურებთან, რომელიც წარმოდგენილ კომენტარებშია ასახული. ICOMOS საქართველო ინფორმირებულია, რომ ეროვნულმა სააგენტომ შესაბამისი ანგარიში უკვე მიაწოდა UNESCO - ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს და საერთაშორისო ICOMOS - ს.

ICOMOS საქართველომ მოთხოვნისამებრ ეროვნული სააგენტოსგან მიიღო - გელათზე ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები (2017-2019 წწ.); ეროვნული სააგენტოს სავსე დათვალიერებისა და ჩატარებული სამუშაოების ანგარიშები (16-19. 06.20; 11.03.20); მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის და საერთაშორისო ICOMOS-ის შეფასებები „გელათის მონასტერზე“ ჩასატარებელ სამუშაოებზე (2010; 2012; 2015, ასევე 2017 წ ნომინაციის შეფასების ფარგლებში); UNESCO - ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ეროვნულ სააგენტოს ზოგადად დადებითი შეფასება აქვს მიღებული „გელათის მონასტერის“ კონსერვაციის გეგმაზე, ხოლო საერთაშორისო ICOMOS-ის ტექნიკური შეფასება მხოლოდ მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის სტრუქტურულ გამაგრებაზეა გაკეთებული. ასეთი შეფასება არ არის გაკეთებული არც სახურავის რეაბილიტაციის პროექტზე და არც ქვის კონსერვაციის კომპონენტზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ კედლის მხატვრობის საგანგაშო მდგომარეობა, როგორც მთავარ ტაძარში, განსაკუთრებით კი წმ. გიორგის ეკლესიაში, 2010 წლიდან მოყოლებული ყველა შეფასების დოკუმენტის მთავარი თემაა. სწორედ ამიტომ იყო სახურავების რეაბილიტაცია დიდი პროექტის (2014-2019) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

¹ 2014-2019 წწ-ში ეროვნული სააგენტოს და სხვა და სხვა დონორთა დაფინანსებით ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელდა „გელათის მონასტერის“ კონსერვაციის გეგმით გათვალისწინებული სარესტავრციო სამუშაოები.

შესაბამისად დღეს გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ტაძარში და წმ. გიორგის ეკლესიაში შექმნილი ვითარების გამომწვევი მიზეზები სცილდება 2020 წელს განვითარებულ მოვლენებს, რომელმაც ნამდვილად დაამძიმა კედლის მხატვრობის დაზიანების ხარისხი და შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა, რომელსაც მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესაბამისი მართვა ესაჭიროება.

ICOMOS საქართველოს კომენტარები

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 11 მარტის ანგარიშში სხვა მნიშვნელოვან რეკომენდაციებთან ერთად, როგორც გადაუდებელი ღონისძიება დასახულია დროებითი გადახურვის მოწყობა², ძეგლზე გადახურვის მოწყობა უკიდურესად გაჭიანურდა და მხოლოდ სექტემბრის ბოლოს მოეწყო გუმბათის გარშემო ისე, რომ ფარავს მხოლოდ მკლავთა კუთხეებში ტრომპების გადახურვებს და მკლავების მცირე ნაწილს. რაც შეეხება ტაძრის დანარჩენ ნაწილებს, შემუშავებულია პროექტი, რომელიც მათ სეგმენტურად გადახურვას ითვალისწინებს მომავალში. დროებითი გადახურვის ასეთი მეთოდი რომ ვერ უზრუნველყოფს კედლის მხატვრობის სრულ დაცვას, პროექტის განმარტებით ბარათშიც არის მითითებული. რაც შეეხება წმ. გიორგის ეკლესიას, აგვისტოს ბოლოს, როგორც დროებითი დაცვითი ღონისძიება, ეკლესიის სამხრეთ ფასადზე მოხდა ქვის გახსნილი ნაკერის ამოვსება საკონსერვაციო ხსნარით. აუცილებელია ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე მოეწყოს საიმედო სრული გადახურვა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო დროს და პირობებს დაკვირვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი მდებარეობს სპეციფიკური კლიმატური პირობების არეალში, თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები, საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების გათვალისწინებით, ამის საშუალებას იძლევა, თუმცა, ასეთი ამოცანის გადაჭრას სათანადო რესურსები სჭირდება. მხოლოდ სრული გადახურვის მოწყობა შეიძლება გახდეს იმის გარანტი, რომ ჩატარდეს დაზიანებათა და მათი გამომწვევი მიზეზების სრულფასოვანი შესწავლა, რასაც დრო სჭირდება. სეგმენტური გადახურვა შესაძლოა საკმარისი იყოს წმ. გიორგის ეკლესიისთვის, რომელსაც ასევე ესაჭიროება დროებითი გადახურვა.

დაუშვებელია სიჩქარე დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციისას. არ შეიძლება პირველი რიგის ამოცანად დასახული იქნას დახარვეზებული კრამიტის გამოცვლა. სახურავების რეაბილიტაცია უნდა მოხდეს კედლის მხატვრობის (ეროვნული სააგენტოს ანგარიშებში აღწერილი) დაზიანებების გამომწვევი მიზეზების დეტალური შესწავლის შემდეგ. მნიშვნელოვანია, დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციამდე, სახელმწიფომ უზრუნველყოს UNESCO - ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მხრიდან ტექნიკური შეფასების დოკუმენტები, არამხოლოდ დროებითი გადახურვის პროექტზე, არამედ პროექტის სხვა კომპონენტებზეც, როგორცაა სახურავის რეაბილიტაციის პროექტი, ქვის კონსერვაცია და აშ., ვინაიდან ეროვნული სააგენტოს ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, რომ კრამიტის ხარისხი დაზიანების ერთადერთი მიზეზი არ არის და პრობლემურია კრამიტის დაწყობის ტექნოლოგიაც და სახურავის მოწყობა წყლის გადაყვანის თვალსაზრისით³. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მწირი და არადაამაკმაყოფილებელი გამოცდილება აქვს საეკლესიო ხუროთმოძღვრების კრამიტით

2 „იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გელათში გაზაფხული ნალექიანი პერიოდია, გადახურვის იმ მონაკვეთებზე სადაც კრამიტი დაზიანდა, და, ასევე, დასავლეთ მკლავზე (მთლიანად), დროებითი გადახურვის მოწყობა, რათა არ მოხდეს წყლის შემდგომი ინფილტრაცია;“

3 ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს საერთაშორისო ექსპერტი, ი. მასსარი, რომლის წინასწარული მოსაზრება მოგვაწოდა საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა.

რესტავრაციის საკითხებში ამ მიმართულებით განსაკუთრებით საჭიროა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო ექსპერტიზა.

გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის და წმ. გიორგის ეკლესიის დროებითი გადახურვის ქვეშ მოქცევის პარალელურად, კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისთვის აუცილებელია ინტერიერის მთლიან სივრცეში (მათ შორის მთავარი ტაძრის საკურთხეველში, სამხრეთ და ჩრდილოეთ არსებულ ეკვდერებში და ნართექსში) დაიდგას უსაფრთხო და პრაქტიკული ხარაჩო, რათა მხატვრობის მდგომარეობის შეფასება და შემდგომი დაკვირვება ახლო დისტანციიდან შესრულდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე გვაქვს ათწლეულების დაზიანების პროცესთან, და არამხოლოდ მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში, ძნელად პროგნოზირებადია გამოშრობის პროცესი რა შედეგებს აჩვენებს და საჭიროა ყველაზე უარყოფითი სცენარისთვის მზადყოფნა. ტაძრის დროებითი გადახურვის ქვეშ მოქცევის შემდეგ, მხატვრობის საფუძვლის (ქვა, ნალესობა) შრობის პერიოდში ხსნადი მარილების კრისტალიზაციის პროცესი უფრო აქტიურ ფაზაში გადავა და დაზიანების რისკიც გაიზრდება. ამავე დროს, მნიშვნელოვანი იქნება დროულად მოხდეს მხატვრობის ზედაპირზე გამოკრისტალებული მარილის ნაფიფქის დროული მოხსნა. სრული ხარაჩოს საშუალებით შესაძლებელი იქნება კრიტიკული და აქტიური დაზიანების ფაზაში არსებული მონაკვეთების ზუსტი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი პრევენციული და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება. სრული ხარაჩო ინტერიერში მონიტორინგის ინტენსივობის გაზრდის საშუალებაა, რაც შეამცირებს ახალი დაზიანებების გაჩენის რისკებს.

მნიშვნელოვანია, რომ დროებითი გადახურვის მოწყობის შემდეგ ტაძრის ინტერიერში კედლების გაშრობის პროცესი არ წარმართოს ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებების ფონზე, ეს შესაძლებელი იქნება ინტერიერში კლიმატის მუდმივი კონტროლის და საჭიროების შემთხვევაში რეგულირების საშუალებით, აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული ყინვის ფაზა ან/და სწრაფი გამოშრობა.

ICOMOS საქართველო დადებითად აფასებს ეროვნული სააგენტოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულ კედლის მხატვრობის მონიტორინგს, მის მეთოდოლოგიას. სასურველი იქნებოდა მონიტორინგის პროცესის მკაფიო სისტემატიზაცია და დოკუმენტის ბოლოში ანალიტიკური რეზიუმეს მოცემა, რათა დოკუმენტი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს თუნდაც სპეციალისტთა უფრო ფართო წრისთვის.

დაუშვებელია სახელმწიფომ გელათში შექმნილი კრიზისის გამოსწორების მთავარ და ძირითად გზად დაისახოს სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელთა მხრიდან ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნა და უზრუნველყოფა. ჩასატარებელი ღონისძიებების მასშტაბი სცდება ერთი ან ორი ორგანიზაციის შესაძლებლობებს. აუცილებელია სახელმწიფომ სრულად აიღოს პასუხისმგებლობა ძეგლის მიმდინარე კონსერვაციულ მდგომარეობაზე, როგორც ეს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენციით არის განსაზღვრული და უზრუნველყოს საჭირო რესურსების მობილიზება კრიტიკული მდგომარეობის დროულად და ადეკვატურად მართვისთვის.